№ 21 იანვარი 28, შაბათი 1889 იანვარი 28 შაბათი № 21

| ბაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| 12 . . . . . | 10 — | 6 . . . . . | 6 — |
| 11 . . . . . | 9 50 | 5 . . . . . | 5 50 |
| 10 . . . . . | 8 75 | 4 . . . . . | 4 75 |
| 9 . . . . . | 8 — | 3 . . . . . | 3 50 |
| 8 . . . . . | 7 25 | 2 . . . . . | 2 75 |
| 7 . . . . . | 6 50 | 1 . . . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სა-პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

ანნა ღვინიაშვილისა, ნატალია მრევლიშვილისა და დავით გიორგის ძე აბულაძე აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთა თავიანთ დედის ნინო ზაქარიას ასულის გარდაცვალებას, სთხოვენ მობრძანდნენ, კვირას, 29 იანვარს, დილის 9 საათზედ, საკუთარს სახლში, ბაგრატიონის ქუჩაზედ, მიცვალებულის გასასვენებლად ანჩისხატის ეკკლესიაში: (2—1)

**ტფილისის ქალაქის სახელოსნო სასწავლებლის მმართველობა** აცხადებს, რომ კვირას, 29 იანვარს, ამ სასწავლებელში დანიშნულია წლიური აქტი და სთხოვს იმათ, ვისაც-კი საყურადღებოდ მიაჩნიათ შეიტყონ, რა გვარად სწარმოებს ამ სასწავლებელში პროფესიანალური სწავლა, დაესწრნენ აქტსა. აქტი დაიწყება დილის 12 საათზე. (1—1)

ქართული თეატრი

კვირას, 29 იანვარს

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

I

პირველად ახალი პიესა

**ახალი დროების გმირი**

კომ. 2 მოქმ. დავით ხოსლანიხა

II

## დაჳდარაბა

კომ. 3 მოქ., გადმ. თ. დ. ერისთავის მიერ.

**მონაწილენი:** ქ-ნი საფაროვისა, გაბუნია-ცაგარლისა, მელიქიშვილისა და სხვ., ბ-ნი აბაშიძე, ყიფიანი, აწყურელი, გამყრელიძე, დიღმელი და გუნია.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი $7^1/_2$ საათზე.

ტფილისი, 27 იანვარი

არიან ზოგიერთი იმისთანა ქვეყნები, სადაც ურთიერთობა კაცთა შორის იქამდე უკან ჩამორჩენია თავის დანიშნულებას, რომ ადამიანის ნამუსს, პატიოსნებას, კუთვნილებას სულიერს, თუ ხორციელს ვერაფერს სარჩლს ვერ უწევს, ვერა ჰპატრონობს, ვერ უვლის და ვერ იფარავს შებღალვისაგან. რასაკვირველია, აქ სარჩლი და მფარველობა უნდა გაუწიოს ზნე-ჩვეულებამ საზოგადოებისამ, ხოლო ჭირი ის არის, რომ ზნე-ჩვეულება ზოგიერთ ქვეყანაში იმოდენად განწმენდილი და მგრძნობიერი არ არის, რომ შებღალვა ვისისამე ნამუსისა, ადამიანურის ღირსებისა ითაკილოს, იუკადრისოს და ყოველ ცალკე კაცის გაუპატიურებაში თავისის საკუთარის ღირსების წაბილწვა დაინახოს.

ზნე-ჩვეულებას, როგორც ჭკუასა და გონებას, განწმენდა და განათლება უნდა. უამისოდ იგი მკვდარია და უქმი იმ სახელოვან და სანატრელ დანიშნულებისათვის, რომლის გამოც ჩვენ ვლაპარაკობთ და რომელიც ქვა-კუთხედია კაცთა ურთიერთობით ცხოვრებისა. ჩვენდა სამწუხაროდ, ზოგიერთი ერთ შორის არის მაგ ზნე-ჩვეულების განწმენდასა და განათლებაზედ და მათ შორის ჩვენცა. ვიტყვით უფრო მეტს: ამ მხრით ჩვენისთანა დაქვეითებული ერი ბევრი სხვა არ გვეგულება დედამიწის ზურგზედ. ნამუსი, პატიოსნება და ყოველივე ადამიანური ღირსება ისე ადვილად ხელ-მისახებელი არსად არის, როგორც ჩვენში და ეგ ხელ-შეხება ისე დაუსჯელად, გაუკიცხავად არ ჩაუვლის ხოლმე ადამიანს, როგორც ჩვენს ბედნიერს ქვეყანაში.

დაუსჯელად და გაუკიცხავადო!.. ეგ კიდევ არაფერი. ამას კიდევ როგორც იქნება ავიტანდით, რაკი ეს ღვთის წყრომა მოგვევლინებოდა. სავალალო და სამარცხვინო ის არის, რომ ზოგჯერ ტაშის კვრითა და ქება-დიდებით მივეგებებით ხოლმე სხვის ნამუსის წამბილწველსა, სხვის პატიოსნების შემლახველსა. ამისთანა ყოფაში დიდხანს ვერ გასძლებს ქვეყანა, ერი, საზოგადოება. ეგ წინდაუხედავად შებღალვა ნამუსისა, კაცურის კაცობისა ჭიაა, რომელიც ქვეყანას, ერს, საზოგადოებას შიგ გულში ჩასჯდომია და დღე მუდამ ჰფქვავს, ჰღრღნის, მინამ ბოლოს არ მოუღებს. სადაც ეგ არის, იქ ქვეყანას, ერს, საზოგადოებას ჭიანი გული აქვს და ჭიანის გულით სიცოცხლე ხანმოკლეა და უნაყოფო.

ამ ზნე-ჩვეულების გაუწმენდელობა და გაუნათლებლობა არის მიზეზი, რომ ქვენა გრძნობანი ზენა გრძნობათა ადგილას გამეფდებიან ხოლმე, ტყუილი მართალის ნიღაბ ქვეშ დაიარება და ყალბი ხალასად გადის. ყველანი ჰხედავენ ამას, ყველას თვალ წინ ათასი ამისთანა მაგალითი უდგა მოურიდებლად და ყველანი იშვნევენ და იწუნარებენ ამისთანა ყოფას, თითქო ამითი არავითარი წესი ურთიერთობისა არ ირღვეოდეს, თითქო ამ გადარევ-გადმორევაში ჰპოულობენ იმ მაგარს ტინს, რომელზედაც უნდა აშენდეს ადამიანის ბედნიერების ციხე-სიმაგრე. კაცს, ყველა ამის მოწამეს, ისე ჰგონია, თითქო კეთილს, მართალს, მადლს უღონობა დასწამესო და ეხლა ბოროტს, ტყუილს და ცოდვას-და მიეყუდნენ, რომ იგი ჰქმნას, რაც კეთილმა, მართალმა და მადლმა ვერ შესძლო კაცთა ბედნიერებისათვისაო.

შორს ნუ წავალთ და მივხედოთ მარტო ერთს სამაგალითო ამბავსა. აი, ვსთქვათ, ჩვენ წინა ჰდგას ერთი საწყალი, მიწასთან გასწორებული, ძონძებში და კონკებში ძლივ-ძლივ გახვეული დატაკი კაცი, რომელსაც უსმელ-უჭმელობამ, შიშველ-ტიტველობამ ყოველივე ადამიანური ნიშან-წყალი ჩამოართვა, გაუბათილა. სდგას საცოდავი და ჰკანკალებს ცალკე შიმშილისა და ცალკე სიცივისაგან და ელის მართლ-მსაჯულების მსჯავრს წარბ-შეკრულ და მიუდგომელ მსაჯულთაგან. მისი დანაშაული ის არის, რომ მშიერს ბაზარში ჩაუვლია, ფურნის დაზგაზედ პური დაუნახავს, უძლეველს შიშს შიმშილით სიკვდილისას დაუხშვია გრძნობა სირცხვილისა, დაუვლია საცოდავს ხელი და ერთი ორშაურიანი პური მოუტაცნია. „სასჯელი მაგას, სასჯელი“!— ვიძახით დიდი და პატარა: „რო-

# ფელეტონი

## უცხოთა შორის

ადამიანის არსებას რაღაც ზიანი აქვს.—რა ამბავი მოხდა პარიჟის ერთს ქუჩაზე?—რა ბრალსა სდებდნენ ქალბატონს ვარნეის?—უზრდელი მოხელე და უბრალოდ შეურაცხყოფილი ქალი.—ვინ იყო ქალბატონი ვარნეი?—ამისი თავ-გადასავალი. — უცნაური სახლობა.—გულმა გული იცნო.—ეშმაკმა კიდევ წაიტყუა.—მახეს კიდევ გაუძვრა.—პსიხოპატობაა, თუ სხვა რამ სნეულებაა?

ის, რასაც ქვემოთ გიამბობთ, პარიჟში მოხდა და საყურადღებო ამბავიც არის, ესეც კიდევ ერთი ახალი ამბავი იმის დასამტკიცებლად, რაც წარსულს ფელეტონში ვსთქვით. კიდევ ვიმეორებთ,—ყოველს ადამიანს რაღაცა ნაკლი აქვს, თითქოს ბუნება ვერ ჰბედავს ერთს ადამიანში მთელი და სრული არსება გამოხატოსო.

შეჰხედოთ ადამიანს, თითქოს არაფერიო, ყველაფერი მიუნიჭებია ბუნებას, რომ ადამიანური სახე იქონიოს და ადამიანის სახელი ატაროს. მაგრამ დააკვირდებით კარგად, გაიცნობთ იმისს ცხოვრებას და ჰხედავთ, რომ ადამიანის არსებას რაღაც ზიანი აქვს და საკვირველი კიდევ ის არის, რომ ამ ზიანს ვერც თავს უპოვით, ვერც ბოლოს, ვერ გაგიგიათ იმისი მიზეზი. საიდგანღაც, როგორღაც შეჰპარვია ჭირივით, შეუპყრია მისი არსება და მთელი სიცოცხლე სდევნის ადამიანს. ეს ზიანი რაღაც რისხვაა, წყევა და მომაკვდინებელი ცოდვა ადამიანისა.

არ ვიცი, სხვა რა მიზეზი მოვუძებნოთ იმას, რასაც დღეს მოგითხრობთ. მაგრამ, უკაცრავად, ჯერ უნდა გიამბოთ, რა მოხდა.

**

პარიჟის ერთს დიდს ქუჩაზე ცხენის რკინის გზის ვაგონი მისრიალებდა. მატარებელი უცბად შედგა. ვაგონში რაღაც ჩოჩქოლი და ხმაურობაა.

— როგორ! მე მიბედავთ მაგის თქმას?! პატიოსანს ქალს უკადრისად ექცევით, სახელს უტეხავთ და მერე ასე საქვეყნოდ? ოჰ, მე მაგას არ მოვითმენ, ჩემს ასეთს შეურაცხყოფას არ გაპატიებთ და მე თქვენ გასწავლით, როგორ უნდა მოექცეთ პატიოსანს ქალს! — ისმოდა მრისხანე ხმა კარგად ჩაცმულისა და მდიდრად მორთულის ქალისა.

— უკაცრავად, ქალბატონო, ნუ გამიწყრებით, მე კანონის ძალით ვიქცევი ასე. მობძანდით პრეფექტთან და იქ გაარჩევენ, ვინ გახლავს ჩვენში მართალი, —ასე ზრდილობიანად ელაპარაკებოდა ქალს პოლიციის მოხელე.

ვინ იყო ეს ქალი და რა დანაშაულობა ჩაედინა, რას აბრალებდნენ? ქალის ვინაობას ქვემოდ გაიგებთ და დანაშაულობა-კი დიდი ჰბრალდებოდა, ისეთი დიდი, რომ იქნება ბევრმა ჩვენმა მშვენიერმა მკითხველმა ქალმა კიდეც იწყინოს და იუკადრისოს. ჰბრალდებოდა,— ოჰ, სირცხვილო, —ვითომ ამ ქალბატონს ვაგონში თავისის მეზობლისთვის ჯიბეში ხელი ჩაეყო ფულის მოსაპარად. პოლიციის მოხელემ, რომელიც შემთხვევით შეესწრო აქ, შენიშნა ესა და ზრდილობიანად სთხოვა პოლიციაში მიბძანებულიყო.

აი მიზეზი იმ ჩოჩქოლისა და ხმაურობისა, რომელიც ვაგონში მოხდა.

მერე რა გაიგეს? გაიგეს მხოლოდ, რომ ამ ქალის გვარი ვარნეია და, როგორც ლაპარაკის კილოზე ეტყობა, ან ინგლისელი უნდა იყოს, ან ამერიკელიო. გაიგეს აგრეთვე, რომ აქა-და-აქა სცხოვრებს და ესა და-ეს პატიოსანი კაცი ჰყავს ნაცნობიო. ასეთი ნაცნობი ქალბატონმა ვარნეიმ ოცამდე დაასახელა. ჰკითხეს ყველა ამათ და ყველამ გაიკვირვა, როდესაც გაიგეს, რა ბრალსაც სწამებდნენ ვარნეის.

— რა დასაჯერია, რომ ვარნეის ასეთი გასაკიცხი საქციელი ჩაედინოსო, —ამბობდნენ ყველანი ერთ-ხმად:— ვარნეის რამდენი ხანია ჩვენ ვიცნობთ და ვიცნობთ, როგორც პატიოსანს ქალს. ამასთანავე მდიდარეც არის და რა გაჭირება უნდა ჰქონოდა, რომ ქურდობა ჩაედინა. არა, პოლიციის მოხელე შემცდარია, უმიზეზოდ ცილი დაუწამებია, უკადრისობა მიუყენებია პატიოსანის ქალისთვის.

ასეთ მოწმობით გამხნევებულმა ქალბატონმა ვარნეიმ უფრო მეტად გამოიდო თავი, ინგლისის ელჩს მიჰმართა და სთხოვა, მომეხმარეთ, მისარჩლეთ, სრულიად უბრალოს დიდსა და მიუტევებელს ბრალსა მდებენო.

ელჩმა დიდი თანაგრძნობა აღმოუჩინა უბრალოდ შეურაცხყოფილს ქალს, სასტიკად მოეკიდა საქმეს და იმდენს ეცადა, რომ ქალი სრულიად გაანთავისუფლებინა.

ქალბატონი ვარნეი ძალიან გულმოსული და გაჯავრებული წავიდა პარიჟიდამ.

— ღმერთმა ჩემი ფეხი ნულარ გაატაროს ნურც პარიჟში და ნურც საზოგადოდ საფრანგეთში, იმ საფრანგეთში, სადაც პატიოსანს ქალსაც-კი შეუძლიანთ ცილი დასწამონ, რომ ვითომ საქვეყნოდ შეუძლიან ისეთი საძაგელი საქმე ჩაიდინოს, როგორიც ქურდობაა, ჯიბიდამ ფულების ამოცლაა. ფუ, ფრანგების ზრდილობას, ეს ხომ სამარცხვინო საქმეა!..

ოჰ, უზრდელო პოლიციის მოხელევ, მუხლი მოიდრიკე ამ ქალბატონის წინაშე და მალე ბოდიში მოიხადე! თქვენც, ქალბატონო ვარნეი, წადით და მთელს ქვეყანაში მოსდეთ ეს ამბავი, შეარცხვინეთ არა თუ მარტო პარიჟის პოლიცია, არამედ მთელი საფრანგეთი.

დარწმუნებული ვარ, მკითხველო, რომ თქვენც კეთილშობილური და საქებური გრძნობა გაგიტაცებდათ და გულ-ამღვრევით იტყოდით,—ქალს და მერე ისიც უბრალო ქალს და ასე სასტიკად, უმართებულად მოექცნენ, ასე წინდაუხედავად შეჰლახონ მისი სახელი!..

მოითმინეთ, ჩემო გულ-წრფელო მკითხველო! წარმოიდგინეთ, რომ პოლიციის მოხელენი მოტყუებულნი არ იყვნენ და თავიანთ გამოცდილის, გაგეშილის თვალით კარგად გასინჯეს და იცნეს, ვინც უნდა ბძანებულიყო მდიდარი და პატიოსანი ქალბატონი ვარნეი. მართლაც, და აღმოჩნდა, რომ ეს ქალბატონი წმინდა წყლისა არა ბძანებულა. მერე რა არ გამოუვლია, რის მნახველი არა ყოფილა ეს ქალბატონი...

მაგრამ რიგზე გიამბობთ, საყურადღებოა ამ ქალის თავ-გადასავალი.

**

ქალბატონი ვარნეი ამერიკიდამ ყოფილა. ნამდვილი სახელი და გვარი სოფიო ლაიონი ყოფილა, ვარნეი-კი მეტ გვარად დაურქმევია. საოცარი გვარ-ტომობა ჰქონიათ ამ ლაიონებს. მამაცა და დედაც ამ ქალისა მთელს ამერიკაში გამოჩენილი ქურდები ყოფილან. ჯერ ისევ პატარა ყმაწვილი იყო თურმე სოფიო ლაიონი, როდესაც მამა თავისს ხელობას ასწავლიდა როგორც ამას, ისე სხვა თავისს შვილებსაც. ჯერ თორმეტის წლისა არა ყოფილა სოფიო, როდესაც თავისი ხელობა უცდია და ისეთი საკვირველი ნიჭი გამოუჩენია, რომ მამას მაშინვე ლოცვა-კურთხევა მიუცია და გზა დაულოცნია.

თექვსმეტის წლისა ეს ქალი გათხოვილა და ქმრად შეურთავს აგრეთვე განთქმული ჯიბის ქურდი, სახელად ჰარრისი. ახლად ჯვარ-დაწერილნი ცოლ-ქმარნი დაადგნენ გზას

გორ თუ მოიპარა! როგორ თუ იქურდა! პატიობა ქურდობისა და მტაცებლობის წაქეზება და წახალისება იქმნება!“

ეხლანდელთა საქებურად ამასაც ვიტყვით, რომ იქნება ერთსა და ორს ამ საცოდავ-კაცის დანახვაზედ სიბრალულმაც გაურბინოს გულში, მაგრამ სრულად პატიობაზედ-კი არა გვგონია ან ეს ერთი-ორი დაიყოლიოთ. ეს ხომ ასეა მაშინ, როცა მშიერმა ორშაურიანი პური მოიპარა და იქნება ადამიანის სული სიკვდილისაგან დაიხსნა იმ მცირედის დანაკლისით, რომელიც სხვას მიაყენა, რაში მდგომარეობს აქ დანაშაული, რომლის შენდობაც ცოდვად მიგვაჩნია? იმაში, რომ ხელ-შეხებულია, შერყეულია, შებღალულია პატივი საკუთრებისა, რომელიც კაცთა ურთიერთობის დედა-ბოძად მიუჩნევიათ. თუ ესეა, რამდენად უფრო გამოსამეტებელი უნდა იყოს დასასჯელად ის, ვინც ადამიანს ჰპარავს იმას, რაც მის უძვირფასესს საუნჯეს, უძვირფასესს კუთვნილებას შეადგენს და ყოველ გვარ ნივთიერ საკუთრებაზედ უფრო მეტად უღირს? განა ნამუსი და პატიოსნება ამისთანა დაუფასებელი საუნჯე არ არის! განა ადამიანი ნამუსითა და პატიოსნებით არ ადამიანობს და კაცური კაცობა ამითი არა ჰკაცობს! განა მარტო ერთსა და ორს გაუწირავს თვით სიცოცხლეც-კი, ოღონდ ნამუსი და პატიოსნება შეირჩინოს და არავის არ გააჩირქიანებინოს!

თუ ესეა, მაშ რამოდენად უფრო მძიმე შემცოდველი უნდა იყოს ორ შაურიან პურის მპარავზედ ის, ვინც ნამუსს, პატიოსნებას ჰპარავს კაცსა! ლოღიკას რომ ეხლანდელს დროში უგუდმა ტრიალი არ დაეწყო, სწორედ ამ გზით უნდა ევლო და ნამუსის მპარავი სამარცხვინო ბოძზედ უნდა გაეკრა. ეხლანდელი ლოღიკა ამას არ დასდევს. შიმშილისაგან ძალ-დატანებულს დატაკუკ-კი სჯის ორ შაურიან პურის ქურდობისათვის და ნამუსის მპარავს-კი ქების ტაშსაც შეაწევს ხოლმე,—დახე, რა ყოჩაღია, ამა-და-ამ კაცს საქვეყნოდ თავზე ლაფი დაასხაო!

ეს დაუსჯელად თავზე ლაფის დასხმა, ეს წინ-დაუხედავად ნამუსის ახდა, ეს წაწუმედა და წაპილწვა ადამიანის ადამიანობისა არც მთქმელს ეთაკილება, არც მსმენელს ეზიზღება, ნამეტნავად ჩვენში. ინგლისში მთავარ-მინისტრმა ერთი ინდოელი ქვეშევრდომი ინგლისსა ამ სიტყვით ახსენა—„ვიღაც ზანგიო“—და მთელი ინგლისი სამართლიანის გულის წყრომით შეიძრა—როგორ თუ ამისთანა ბიაბრუად ხსენება აკადრა ინგლისის ქვეშევრდომსაო და ავადმხსენებელი მინისტრი კინაღამ სამინისტრო ტახტიდამ არ გადმოაბძანა და ჩვენში-კი გაუხარდებათ კიდეც, თუნდა საშინელის ლანძღვითა და ცილის-წამებით გააუპატიურო, გააბიაბრუო კაცი. ოღონდ ფლიდობა, ავ-კაცობა, ერთის სიტყვით, უღირსობა რამ-კი შესწამეთ კაცსა, ისე ადვილად და მალე დაიჯერებენ, თითქო ბედნიერება კარზედ მიადგათ და ხელიდამ გაშვება ენანებათო. ერთხელ და ორჯელ არ შევხვედრია, რომ კაცი კაცს უსაბუთოდ ჰლანძღავს და ლაფში სვრის და როცა გამოსარჩლებია ვინმე, უკითხავთ: „შენი რა არისო?—ჩემი რა უნდა იყოს, არც-კი ვიცნობო?—თუ არ იცნობ, შენ სხვისთვის რად იჭაჭებიო?—იმიტომაო, რომ ისიც კაცია და უსაბუთოდ შებღალვა კაცის ნამუსისა უნამუსობაა და თუ დღეს ის ამოგიღია ნიშანში, ვინ გვითავდებებს, რომ ხვალ სხვას ვისმე მაგ დღესვე არ დააყენებო“. ჩვენ მოწმად ვყოფილვართ, რომ ამისთანა სინიდისიერი მოსარჩლე გალანძღულისა და ცილ-შეწამებულისა სასაცილოდ აეგდოთ, როგორც რეტროგრადი.

ძნელად საცხოვრებელია ამისთანა ქვეყანა, საცა ადამიანის ნამუსს და მის გრძნობას კაცურის ღირსებისას პატივი და მფარველობა არა აქვს და საცა ხელ-შეხება, შებღალვა ყოველ ამისი ეადვილებათ და საცა საზოგადოებაში მოტრიალე კაცი თავის უწმინდაესს მოვალეობად არა სთვლის სდევნოს ცილს და უსაბუთოდ ავად ხსენებას კაცისას, საცა-კი შეხვდება. თავის თავის პატივისმცემელი ლიტერატურა მოვალეა ჰპატრონობდეს ადამიანის ნამუსს და ღირსებას და კაცი არავის გაალახვინოს ცილითა და ტყუილითა, რადგანაც ერთიცა და მეორეც ყურ-მოჭრილნი ყმანი და მოსამსახურენი არიან პარტიო პირადის ანგარიშებისა. ლიტერატურა-კი, როგორც მოღვაწეობა უკეთესთა კაცთა, ერთად-ერთი ფარხმალი უნდა იყოს ადამიანისა, როცა მის ღირსებას უღირსად, უკადრისად ხელს შეახებენ ხოლმე და მისს ზნეობურს კუთვნილებას სტაცებენ. ლიტერატურის მრავალ გვარ და რთულ მოვალეობათა შორის ეს მოვალეობა ერთი უდიდესთაგანია, იმიტომ-რომ ნამუსის შებღალვა, ნამუსის ახდა, კაცის სახელის გატეხა ისეთი დიდი უბედურებაა, რომ თუ არ ზედმიწევნით გამორკვეულ, უტყუარ საბუთით, ლიტერატურამ სხვა გზით ამაებში არავის არ უნდა დაუთმოს ერთის იოტის ოდენაცა. ამ მხრით ლიტერატურა ყოველის კაცის პატრონი უნდა იყოს და მფარველი, ნამეტნავად იქ, საცა ეგ პატრონობა და მფარველობა სხვა გზით არ არსებობს.

## ახალი ამბავი

*** 18 იანვარს ჰლირსებიათ ბედნიერება და წარდგენილან მისს იმპერატორებითის დიდებულების ხელმწიფე იმპერატორის წინაშე ეგერ-მეისტერი თ. კონსტანტინე ივანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანსკი და კამერ-იუნკერი თ. ალექსანდრე მიხეილის ძე ბაგრატიონ-მუხრანსკი.

*** **ბარის ოსეთი:** ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალი აკლდა, მიიტანეს და ისეც ზედ დაურთესო, სწორედ ბარის ოსებზე ითქმის. ჯერ მკვიდრათ აქვს ბარის ოსებში ფესვი გადგმული სხვა-და-სხვა ცრუმორწმუნოებას მოლებისა და მკითხველების წყალობით და ამ ქამად ხომ ლამის არის სულ ერთიან წრეს იქით გადაეიდეთ. ამ იანვრის 21 და 22 მოვიდა სოფლის კანცელარიებში თითო ვეებერთელა შეკრული დასტა პატარა აფიშებისა ხალხისთვის დასარიგებლად. ამ აფიშებში სწერია, რომ კავკავში მოსულა რუსეთიდგან ვილაც გულთმისანი, რომელიც წინასწარმეტყველობას კისრულობს. ეს წინასწარმეტყველი თურმე ამბობს, რომ ყველაფერი შეიძლება ავხსნა და შევიტყო, რაც თავს გადაგხედიათ წინად და რაც გადაგხდებათ ამის შემდეგაო. გაიგეს თუ არა ეს ამბავი აქ ბარის ოსებმა, ერთმანეთს ეცნენ და შეექმნათ ლაპარაკი: წავიდეთ და ვაკითხვინოთო, ამაზედ კარგს წინასწარმეტყველს ვინლა მოესწრება; თუ დიდი და საკვირველი წინასწარმეტყველი არ იყოს, მთავრობისაგან რითა აქვს ნება-რთვაო... წრევანდელმა ზამთარმა აქეთკენ არც ერთი ადგილი არ გაუშვა უდამლოდ. ამ ეხლაც ჩეჩნეთიდგან მოსულმა ოსებმა მოგვიტანეს ამბავი, რომ ძალიან გაჰქლეტიათ ცხვრები ჩეჩნეთში მყოფ მოხევეებსა და მთიულებს, რომელთაც საზამთროდ ჰყოლიათ იქ ცხვრები. საწყალს მოხევეებსა და მთიულებს თურმე მოულოდნელად მოასწრო იმ დიდმა ყინვებმა, არ დაემზადებინათ ცხვრებისთვის ფარეხები და არც საკვები. ამ ნაირათ ცხვარს დიდმა ყინვებმა მოულოდნელად დურალი ჰკრა, ახლა უსაქმლობამაც ზედ მიატანა და მუსრი აადინა ცხვარს. საწყალი მოხევეები და მთიულები იქამდე შეწუხდნენ, რომ იხვეწებოდნენ და ათ შაურად სამ აბაზად იმეტებდნენ ცხვრებს, ოღონდაც მყიდველი ყოფილიყო ვინმე. დაეილუპენითო, ამბობდნენ თურმე საბრალო მოხევეები: უნდა ავიღოთ კომბლები, გავიდოთ მხრებზედ და გავუდგეთ დაღონებული შინისაკენაო.

*** **ხოფ. ჩხერი** (შორაპნის მაზრა): როგორც იქმნა, მოვესწარით თბილს ამინდებსა და გავთბით წრევანდელისყინვა-სიცივით დასუსხული ხალხი. იმისთანა თბილი ტაროსია დღეს ჩვენში, რომ აპრილის თთვეს მოგაგონებსთ. არავინ არ შესწრებია წრევანდელისთანა სასტიკს ზამთარს ყველა იმას გაიძახის, რომ ნამდვილი რუსული ზამთარი იყოვო. ამ ზამთარმა ძლიერ ხელი შეუშალა მუშაობას და ძლიერ შეაწუხა ხალხი. მეტად გაძვირდა საკვები, შეშა და ყოველი ჰირნახული. ღვინის ფასს ნუღარ იკითხავთ, ჩვენში წელს ფუთი ღვინო, რომელიც ზაფხულზე სამ მანეთამდე ფასობდა, დღეს სამ-ოთხ

---

და თითქმის არც ერთი შესანიშნავი ქალაქი არ დარჩათ ამერიკაში უნახავი. ქალაქებში, რასაკვირველია, უფრო მაღაზიებსა ჰსინჯავდნენ და ისეთს მაღაზიებს, სადაც ძვირფასი ნივთები იყიდებოდა.

ამ გზით ცოლ-ქმარმა დიდ-ძალი ნივთი და ფული შეიძინა, მხოლოდ ეს-კია, რომ ახალგაზდა ქმარს ბედმა უმტყუნა ერთს დღეს, ჰარრისი ქურდობაზე დაიჭირეს და, ის იყო და ის დღე, ჰარრისის ხსენება გაჰქრა. ცოლმა ველარაფერი გაიგო, მხოლოდ ის-კი იყო, რომ თავი მშვიდობით გადაირჩინა. ასე უდროვოდ დაქვრივებულმა ახალგაზდა ქალმა გული არ გაიტეხა, მხნეობა არ დაჰკარგა და მარტოდ-მარტო განაგრძო ის საქმე, რომელიც ისე საუცხოვოდ დაიწყეს ცოლ-ქმართ.

დაუღალავად გადადიოდა ერთის ქალაქიდამ მეორეში, ერთის ქვეყნიდამ მეორე ქვეყანაში. ამ გვარად ბევრი ქვეყნები მოიარა, ბევრი ხალხი გაიცნო. დაახლოვებით, რა თქმა უნდა, უფრო თავისის ხელობის ხალხს უახლოვდებოდა.

ამათში, სხვათა შორის, გაიცნო ერთი განთქმული ქურდი, გვარად ლაიონსი. სულმა სული იცნა და გულმა გული. ლაიონსის ჰარრისის ცოლი მოეწონა და უფრო-კი ამის საკვირველი სიმარდე და დახელოვნება ქურდობაში. ქალსაც ლაიონსი მოეწონა და ჯვარი გადაიწერეს. დაიწყო ახალი ხანა მოქმედებისა ქალბატონ ლაიონსისა.

**

ცოლ-ქმარმა ხელი ხელს მისცეს და ერთგულად შეუდგნენ თავიანთს მართლა რომ მძიმე საქმესა და მოვალეობას. რაც უნდა დახელოვნებული იყოს ადამიანი და თანაც გატაცებით მოყვარული თავისის საქმისა, მაინც, სწორედ მოგახსენოთ, ქურდობა ისეთი საქმეა, რომ ღირსეული ცოლ-ქმარი არა ერთხელ და ორჯელ უნდა დაფიქრებულიყვნენ და დაფიქრებულიყვნენ მწარედ. ყოველ წამსა და საათს სულ იმის ფიქრში და შიშში უნდა იყო, რომ არავინ მოამასწროს, არავინ გამიგოს ჩემი გასაკიცხი და სამარცხვინო ხელობა. ადამიანი როგორ არ უნდა იყოს ტანჯვაში, სინიდისი როგორ არ უნდა აწუხებდეს.

ეტყობა ასეთს ყოფასა და ტანჯვაში იყო ქმარი ლაიონსი, რომ ერთს დღეს თავისს ცოლს ასე დაუწყო ლაპარაკი:

— ორი წელიწადია, რაც ერთად შევიყარენით და ჩვენს ხელობას ვადექით. ავი იყო ჩვენი ხელობა, თუ კარგი, ამას ნუღარ გამოვუდგებით, მხოლოდ ეს-კია, რომ კარგა დიდი ქონება შევიძინეთ. კმარა ამდენი თრევა. ჩვენ საცხოვრებლად იმის სარგებელიც გვეყოფა, რაც ფული შევიძენია.

მართლაც და ერთ ხნობით ცოლ-ქმარმა თავიანთს ხელობას თავი დაანებეს და სცხოვრებდნენ თავიანთთვის. კაცს ეგონებოდა, რომ ფული პატიოსნებითა და ჯაფით აქვსთ შეძენილიო, ისე პატიოსნად და რიგიანად ეჭირათ თავი.

მაგრამ ადამიანს რაკი ერთხელ ეშმაკი ჩაუჯდება გულში, ძნელი-ღა ყოფილა იმისი ჭეშმარიტსა და მართალს გზაზე დაყენება. ლაიონსის მეუღლემ ველარ მოითმინა, ეშმაკმა წაიტყუა და ერთს დღეს მაღაზიიდამ რაღაცა მოიპარა. ქალბატონი ლაიონსი ზედ ქურდობაზე დაიჭირეს და ციხეში უკრეს თავი.

სიმდიდრემ გამოიხსნა პატიმარი ქალი. ციხის ყარაული როგორღაც მოისყიდეს და ქალბატონი ლაიონსი გაანთავისუფლეს.

ცოლ-ქმარს, რასაკვირველია, აღარ დაედგომებოდათ იმ ქალაქში, სადაც ესე თავი შეირცხვინეს და სახელი გაიტეხეს. აქაურობას თავი დაანებეს და ჩრდილო-ამერიკაში წავიდნენ. აქ ლაიონსებმა იყიდეს თავიანთთვის მშვენიერი მამული და დაიწყეს მშვიდი, მოსვენებული ცხოვრება. მეზობლებს თავი შეაყვარეს; ვინც-კი ახლო-მახლო სცხოვრებდნენ, ყველანი სიყვარულით და პატივით ექცეოდნენ ლაიონსს. შვილებიც მოეზარდათ, ერთი ვაჟი და სამი ქალი. ქმარი ლაიონსი სრულიად ბედნიერად სთვლიდა თავისს თავს და ფიქრადაც აღარ მოსდიოდა, რომ კიდევ როდისმე დაუბრუნდებოდა თავისს უწინდელს ხელობას. ან-კი რა ძალა ედგა?

**

ხოლო ვერ მოუსვენია, ვერ ჩამდგარა თავისს ქერქში ქალბატონი ლაიონსი. მოსწყინდა წყნარი, დამშვიდებული ცხოვრება სოფლად, თავისს საკუთარს მამულში, ქმარ-შვილებთან. ეშმაკი კიდევ შეუჯდა გვერდში და ხელ-ახლად მიჰყო ხელი თავისს უწინდელს საქმეს—ქურდობას.

ამერიკაში ყოფნა საშიშარი შეიქნა. პოლიცია კვალ და კვალ დასდევდა. ქალბატონმა ლაიონსმაც ბევრი აღარ იფიქრა, დაჰკრა ფეხი და ევროპაში გაჩნდა. დაანება თავი ქმარსაცა და შვილებსაც. ქმარი მალე მოკვდა. შვილმა მშობლების ხელობა დაიჭირა, მაგრამ ქურდობაზე მალე დაიჭირეს და ციხეში დიდხანს ვერ გასძლო, წუთი-სოფელს გამოესალმა თავისა და სხვის საბედნიეროდაც. ქალები-კი აქეთ-იქით წაიყვანეს სამადლოდ გასაზრდელად.

ამ ყმაწვილების დედა, ქალბატონი ლაიონსი, რაღას აკეთებდა, რას ჰფიქრობდა, როდესაც შვილებს ასეთი დღე დაადგათ, რომ საქმე სამადლოდ გაუხდათ. ოჰ, უსაქმოდ არ იჯდა. მთელი ევროპა ფეხ ქვეშა ჰქონდა ამოდებული. გადადიოდა ერთის ქვეყნიდამ მეორეში, ყველგან ავარჯიშებდა თავისს საუცხოვოდ მოქნილს თითებს, ჰკრეფდა და მკიდა იქ, სადაც არა დაეთესნა-რა. ამ სახით მოიარა ინგლისი, რუსეთი, გერმანია, ავსტრია, საფრანგეთი და ბოლოს ეითომ ჰსურდა კარგა ხნით ფეხი მოეკიდნა და ბინა აეჩინა პარიჟში. მაგრამ აქაც თავისი უბედური ჩვეულება ვერ მოიშალა და აი მალე ვხედავთ მახეში გაბმულს. ეს მახე გახლდათ ის ვაგონი, სადაც პირველად შევხვდით პარიჟის ქუჩაზე ქალბატონს ლაიონსს.

როგორც გიამბეთ, მოხერხებული ქალბატონი ოსტატურად გაუძვრა ამ მახესაც, გაჰქრა მას დღეს უკან და დღესაც კიდევ კვალიც ვერ მიუგნიათ. პოლიცია ბევრს სცდილობს, მაგრამ ვერა გაუგიათ-რა თურმე, სად არის ეს ქალბატონი და სად ავარჯიშებს თავისს ჰკუა-გონებასა და ხელოვნებას.

**

ბევრჯელ გაგვეგონებათ, მკითხველო, რომ ქურდობასა და ბევრს სხვა ამისთანა საძაგელსა და გასაკიცხს საქმეს ადამიანს გაჭირება ჩაადენინებს ხოლმეო.

გეკითხებით, ვინ, ან რა ატანდა ძალას ქალბატონს ლაიონსს, რომ ქურდობას მიჰყო ერთხელ ხელი და ვეღარ მოიშალა? გაჭირება? ხომ ჰნახეთ, რომ გაჭირება-კი არა, მეტიცა ჰქონდა, ვიდრე საჭიროა ადამიანის საცხოვრებლად. მაშ რა არის მიზეზი ამ გვარ სამწუხარო ამბავისა, და ასეთი ამბავი ხომ ერთი და ორი არ არის. ქალბატონი ლაიონსები ბლომად მოიპოვებიან.

ვგონებთ, ამისი მიზეზი ის უნდა იყოს, რაც ამ ფელეტონის დასაწყისში დავასახელეთ—ყოველს ადამიანს ერთი რაღაც ძაფი აქვს გაწყვეტილი, მის არსებას ერთი რაღაც ზიანი აქვს. ზოგმა, შეიძლება, ეს ამბავი ახალ მოდის სნეულებას დააბრალოს—პსიხოპატობას. ესეც შესაძლისია. მხოლოდ იმისა გამოკვლევა და გამორკვევა მეცნიერების საქმეა, ჩვენ-კი, როგორც უცხოეთის ცხოვრების მეთვალყურემ, აღვნიშნეთ ისეთი ამბავი, რომელიც, ყველგან შეიძლება მოხდეს.

ლონ-იაგო

მანეთად იყიდება და ამ მომავალს ზაფხულს კიდევ დიდ ღვინის სიძვირეს უნდა მოველოდეთ.

გაზეთში უკვე მოხსენებული იყო ხარაგოულის ხიდის ამბავი. ამ ხიდს რამდენიმე კაცი უმსხვერპლია, წასულან ყირამალად ჩვენს ცქრიალა და შხაპუნა ჩხერიმელაში. ჩვენ საზოგადოდ დაუდევრობით ვართ განთქმულნი და აგერ თხუთმეტიოდე წელიწადია, რაც ამ ხიდის შეკეთება გვინდა. რამდენი განაჩენი დაგვიდგენია ამის შესახებ, მაგრამ ყოველივე ეს უქმი გამოდგა. ბოლოს აქაც გამოჩნდა ერთი კაცი, სახელდობრ აზნაური კიკნაძე, რომელმაც ითავა ეს საქმე. ამ კაცს შეუამხანაგდა ვაჭარი მანჯავიძე და ამათ მაზრის უფროსის ნება-რთვით ხიდი უკვე გააკეთეს. ეს ხიდი, როგორც ამბობენ, დასჯდა უმეტეს 2,500 მანეთი. ეხლა სოფლებში ამოირჩიეს დეპუტატები, რომლებმაც უნდა გააწერონ ეს ფული სოფლელებზე. უკეთუ ეს გაწერილი ფული არ გადიხადეს, ამ შემთხვევაში პოლიციამ უნდა გადაახდევინოს.

ილვიძებს თანდათან ჩვენი საზოგადოებაც. ეხლა განზრახული გვაქვს ჩვენი სასოფლო სკოლა გადავაკეთოთ ორ-კლასიან ნორმალურ სკოლად. ამის შესახებ მაზრის უფროსმა ქაღალდი გაუგზავნა ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორს.

*** გაზეთები იუწყებიან, რომ განსვენებულის გრაფ მ. ტ. ლორის-მელიქოვის გვამს ტფილისში ჩამოასვენებენ არა უადრეს ამ თთვის 30-ია და 31-სა და დაასაფლავებენ თებერვლის 4-ს, ან 5-ს.

*** „კავკაზი“ გვატყობინებს, რომ 23 ამ თთვისას დილა ადრიანად ბათუმში ჩამოუსვენებიათ განსვენებულის გრაფ ლორის-მელიქოვის გვამი და ნავთ-სადგურზე აუარებელი ხალხი მიჰგებებია.

*** მეხუთე განყოფილებაში, 26-ს ამ თთვისას, ღამით, მჭედლოვის ტრაქტირიდგან, რომელიც ტერ-ასატუროვის სახლშია გამართული, მოუპარავთ 141 მანეთი და სხვა-და-სხვა ოქროს და ვერცხლის ნივთი, სულ 456 მანეთისა. დამნაშავე, იმავე ტრაქტირის მსახური, ტფილისის მოქალაქე არშაკ გრიგოლის ძე თუმანოვი, შეუპყრიათ და ნივთები და 65 მან. ფული უპოვნიათ. თუმანოვი გამომძიებელს ჩააბარეს.

*** იმავე დღეს, ღამით, კოლეჟსკი სეკრეტარს ალექსანდრე სერგეევს, რომელიც სცხოვრებს საკუთარს სახლში, ვიღაცამ მოჰპარა წინა ოთახიდგან სხვა-და-სხვა ტანთ-საცმელი, სულ 308 მანეთისა. ეჭვი არავისზე არ აქვთ. გამოძიება სწარმოებს.

*** პირველს განყოფილებაში, 26-ს ამ თთვისას, შულავერის მცხოვრები გრიგოლ კარაპეტოვი და სოფელ წინანდალის მცხოვრები შაქარ ავაქოვი აპირებდენ სოსიკო ახალკაციშვილის კამბეჩების მოპარვას. კარაპეტოვი და ავაქოვი შეუპყრიათ. გამოძიება სწარმოებს.

*** 26-ს იანვრისას, ღამის ორს საათზე, მიხეილის ხიდზე დუქნების დარაჯმა ოჰანეზოვმა წაართვა ტიტულიარნი სოვეტნიკს სერგეი ზეგლიაროვს ვერცხლის საათი და 17 მანეთი ფული. ოჰანეზოვი შეიპყრეს და გადასცეს გამომძიებელს.

## მედიატორეთა განაჩენი

კნ. ნინო ლუკას ასულის თარხნიშვილისა და ბ-ნ ნ. ხუციშვილის საქმის შესახებ.

1888 წ. გაზ. „ივერიაში“ (№ 183) იყო დაბეჭდილი ბ-ნ ნ. ხუციშვილის წერილი სოფ. ახალქალაქიდგან. ამ წერილში ბ-ნი ხუციშვილი სხვათა შორის ეხებოდა ახალქალაქში გამართულ წარმოდგენებს და ამბობდა:

„1881 წელს კნ. ნინო ლუკას ასულის თარხან-მოურავოვის თაოსნობით გავმართეთ ერთი წარმოდგენა ისევ იმავე ახალქალაქის სკოლის სასარგებლოდ. შემოსავალ-გასავალი ებარა კ. გაბაშვილს. ამ წარმოდგენიდგან დარჩა ხარჯს გარდა 52 მანეთი. ეს ფული ჩემთვის უნდა გადმოეცათ, მაგრამ კნ. ნინო ლუკას ასულს თარხან-მოურავოვს გამოერთმია: მე გადავსცემ მასწავლებელსაო და დღევანდლამდის-კი არ გადმოუცია“.

ამ წერილის პასუხად კნ. ნინო ლუკას ასულმა თარხნიშვილისამ დაჰბეჭდა „ივერიის“ მე-188 №-ში წერილი, რომელშიაც თავის გასამართლებლად ბრძანებდა: „1881 წ. მე გახლდით განჯაში და, როგორც მახსოვს, იმ ზაფხულს, მგონი, სულ არ გამართულა წარმოდგენა ახალქალაქში, ან იმ სიშორეს როგორ მოვახერხე პირადად 52 მანეთის გამორთმევა, არ ვიცი. ჩემის თაოსნობით იყო გამართული ერთი წარმოდგენა 1880 წ., რომელზედაც ნიკო ხუციშვილი ამბობს და გალაღებული ჰლაღადებს კნ. ნინო ორბელიანის თაოსნობასა და ღვაწლზედ. სწორეთ ის წარმოდგენა იყო ჩემი გამართული, რომლის ნაღდი ფული ჩავაბარე ნიკო ხუციშვილს, 50 მანეთი-კი არა, 48 მანეთი, კოტე გაბაშვილისა და ზოგიერთ მოწამეთა თანადასწრებით და სხ.

ამ წერილის პასუხად ნ. ხუციშვილმა დაბეჭდა მეორე წერილი („ივერიის“ მე-214 №-ში). ამ წერილში იგი უარ-ჰყოფდა 48 მანეთის მიღებას და მოწმების დასახელებით ამტკიცებდა შემდეგს: «აბა, ბატონო, (ნინო ლუკას ასულის მიმართ) თქვენთან, 52 მანეთს გარდა, გახლავს კიდევ ორის წარმოდგენისა: 27 მან. ერთი და 25 მეორე.—თქვენთან დღეს 104 მანეთია სკოლისა“. ამას გარდა ბ-ნი ხუციშვილი ამ წერილის ბოლოში სთხოვდა კნ. ნ. თარხან-მოურავოვს შემდეგს: „თუ რაიმე სიმართლე მიგიძღვის, ამოვირჩიოთ უპირატესნი ჩვენს წარმოდგენებზედ მოღვაწენი, იმათ მივანდოთ და ვსთხოვოთ გამოაცხადონ „ივერიაში“, ჩვენში რომელია ისეთი, რომ თითონ საზოგადო ფულები მიიღო და სხვას-კი ცილსა სწამებს და არცხვენს“.

ამ წინადადებაზე დათანხმდა ქალ. ნ. თარხან-მოურავოვისაც და ბ-ნი ნ. ხუციშვილიც და საქმის გადასაწყვეტად ამოირჩიეს მედიატორები.

ჩვენ, მედიატორეთა, გვქონდა რამდენიმე კრება და შევკრიბეთ სხვა-და-სხვა ცნობა ხსენებულის საქმის შესახებ. ვკითხეთ დასახელებულ მოწმებს, ზოგიერთთ პირადად და ზოგიერთთაც წერილით. საერთოდ უნდა ვსთქვათ, რომ მოწმების ჩვენება ძლიერ ეწინაალმდეგებოდა ერთმანეთს. საზოგადოდ დამტკიცდა, რომ ახალქალაქში გამართულ წარმოდგენებიდგან შემოსული ფული ყოველთვის არ ხმარდებოდა დანიშნულებისამებრ საქმეს და ზოგიერთებზე დღესაც დარჩენილია საზოგადო საქმის ფული. რაიცა შეეხება ნ. თარხნიშვილისა და ნ. ხუციშვილის საქმეს მედიატორებმა დავადგინეთ:

ა) კნიაჟნა ნინო თარხნიშვილისას არ გადაუცია ბ-ნ ხუციშვილისათვის ის 48 მანეთი, რომელიც გაზეთში შესწამა. აღმოჩნდა, რომ ის 48 მანეთი გაუგზავნიათ ბოლგარიაში. ამის გამო ნინო თარხნიშვილისამ ბოდიში მოსთხოვა ხუციშვილს. ბ) გამოძიებიდგან აღმოჩნდა, რომ ის 52 მანეთი, რომელიც, ხუციშვილის აზრით, ნინო თარხნიშვილს უნდა მიეღო კოტე გაბაშვილისაგან და არ გადაეცა დანიშნულებისამებრ ხუციშვილისათვის, არის დღესაც სხვათა შორის ვანო თარხნიშვილზე, რომელიც მოვალედ ჰრაცხს თავისს თავს გადაიხადოს ეს ფული. ამის გამო ხუციშვილმა თავის მხრივ ყოველი ბრალი აჰხადა ნინო თარხნიშვილისას შესახებ ყველა ფულებისა, რომელსაც გაზეთით აბრალებდა და ბოდიშიც მოიხადა. გ) შემდეგ ამ გარდაწყვეტილებისა ორივე მხარემ განაცხადა სრული კმაყოფილება და მედიატორეთა განჩინება სცნო სამართლიანად. ამის გამო მედიატორეთა სამართალი აცხადებს, რომ ახალქალაქის სკოლის ფულების შესახებ ყოველივე ბრალი აეხადათ როგორც ხუციშვილს, აგრეთვე ნინო თარხნიშვილისას და ამიტომ ყოველივე უსიამოვნება და უთანხმოება მათ შორის გათავებულად უნდა ჩაითვალოს.

თავ-მჯდომარე გ. იოსელიანი.
ა. ნანეიშვილი
ს. ჭრელაშვილი

## უცხოეთი

**ავსტრო-ვენგრია.** იმ უბედურებამდე, რომელიც ავსტრო-ვენგრიას ეწვია, სტუდენტების წვეულება იყო. ამ წვეულებაზე დაესწრნენ ზოგიერთი მთავრობის მოწინააღმდეგე დეპუტატებიც. ერთმა ამ დეპუტატთაგანმა სახელდობრ პოლონკიმ, წაიკითხა შემდეგი კოშუტის დეპეშა, რომელიც პასუხად გამოეგზავნა იმათთვის, ვისაც მოკითხვა შეეთვალათ ნადიქტატორალისათვის. „ვმადლობ კეთილის მოკითხვისათვის ვენგრიის ახალგაზდობის კრებას. ღმერთმან აკურთხოს ეგ კრება, რომელმაც გადასწყვიტა, ეცადოთ იმ დედა-აზრთათვისაო, რომელთა განხორციელებას მეც ვსცდილობდი. დედა-აზრთა სიმტკიცეა მიზეზი, რომ ჩვენმა ერმა ათასი წელიწადი გასძლო. ათას წელიწადსაც კიდევ გასძლებს, თუ იმ დედა-აზრებს არ ვუღალატებთ. უიმათოდ ერს დაეკარგება თავისი ეროვნული ფერი და იერი, უიმათოდ თვით ეროვნებაც გაჰქრება. ვენგრიელებსაც ნება აქვსთ და შეუძლიანთ კიდეც ერთს ერს წარმოადგენდნენ, ნება აქვსთ და შეუძლიანთ კიდეც თავიანთი სამშობლო სახელმწიფოდ გადააქციონ. ამისათვის აუცილებლად საჭიროა ჩვენი საკუთარი ჯარი გვყავდეს, ჯარს კიდევ ჩვენი საკუთარი დროშა ჰქონდეს და სომარ ზნეს საკუთარს ენაზე სწავლობდეს. ერთის სიტყვით, საჭიროა ჯარი, ვენგრიულის გრძნობით აღსავსე. ვინც ქვეყანას ამ გზიდამ გადაახვევინებს, ის ღირსი არ არის ვენგრიელის სახელი ატაროს და ზიზღით უნდა მოიხსენიებოდეს. მამულის სიყვარული ახალგაზდობისა დიდი იმედია ჩვენის სამშობლოსათვის, თამასუქია მისის უვნებლობისათვის. ვენგრიის ახალგაზდობაზეა ნათქვამი: „გაფრთხილდი, ვენგრიელო! თუ არ შენ, სხვა ვინ დადგება დარაჯად სამშობლოს საკეთილდღეოდ!“ მხნედ იყავით, გულმაგრად! კოშუტი“. ამ დეპეშის წაკითხვამ დიდი აღტაცება გამოიწვია, დიდხანს არ შეწყვეტილა ძახილი: „ელიენ!“ „ელიენ!“ ვითომ გაუმარჯოს, გაუმარჯოსო!

**იტალია.** ამ იანვარში მეფე ჰუმბერტომ პარლამენტის მოქმედების დაწყებამდე წარმოსთქვა თავისი სეფე-სიტყვა და მოიხსენია, როგორც ის, რაც წინა სესიაში გააკეთა პარლამენტმა, ისე ის კანონ-პროექტებიც, რომელიც ამ ახალს სესიაში ექმნება განსახილველი პარლამენტს. ამ კანონ პროექტებ შორის საყურადღებოა სხვათა შორის პროექტი საპატიმროების უწყების გადაკეთებისა, სამღლო დაწესებულებათა ცვლილებისა, კანონ-პროექტი ცალიერ ადგილების დასახლებისა, საერო და საშუალო სკოლების შესახებ, სამოსამართლო უწყების გადაკეთებისა და სხვანი. ამას შემდეგ მეფემ ასე განაგრძო:

„საკანონმდებლო ღვაწლი, რომლისათვისაც თქვენ ხართ მოწოდებული, მშვიდობიანის ხასიათისაა, ისიც-კი უნდა ვსთქვათ, რომ თოფიარაღით დაცული მშვიდობა ტყუილი და არა საიმედო მშვიდობაა. ჩემი მთავრობა რომ ყურს არ უგდებდეს და გულ-მოდგინედ არ ეკიდებოდეს ჯარსა და ფლოტს, ამ ბურჯებს ერის ერთიანობისას და დაუმოკიდებლობისას, იგი მოღალატე იქმნებოდა სამშობლოსი. ჩვენის ფინანსების მდგომარეობა ისეთია, რომ უსაცილოდ საჭიროა, რაც შეიძლება, მეტად შევამციროთ ხარჯები. მეტი ღონე არ არის, რაც დაგვიწყია და ხარჯსა თხოულობს, უნდა შევაყენოთ. მთავრობას იმედი აქვს, რომ პარლამენტი შეეცდება და დაამყარებს ბიუჯეტში წესიერებას. მთავრობა თავის მხრით ეცდება ყოველივე ღონე იხმაროს, მეურნეობა წარმატებაში შეიყვანოს და ქვეყნის დოვლათმა იმატოს. მთავრობა მოითხოვს, ისე გადაკეთდეს კერძო ბანკების საქმე, როგორც უფრო შესაფერია ვაჭრობისა და მრეწველობისათვის და ამასთანავე ეცდება, რომ მეტი ოქრო-ვერცხლისა და სპილენძის ფული დაატრიალოს სახელმწიფოში. კონსტიტუცია და თავისუფლება პატივცემულია ჩვენში, რაც მჭევრმეტყველობით ამტკიცებს ჩვენთა დაწესებულებათა სიმტკიცესა და სიკეთეს. ამასთანავე იტალიას კავშირი აქვს შეკრული ზოგიერთ დიდ სახელმწიფოებთან და ამით თითონაც არა მცირედს მონაწილეობას იღებს, რომ დაიცვას მშვიდობა ევროპაში“.

## წვრილი ამბები

### ოქტავ ფეიეს კომედია.

ჟურნალ „Revue des deux mondes“-ის იანვრის წიგნში დაბეჭდილია მშვენიერი კომედია ოქტავ ფეიესი „Le divorce de Juliette“ (განქორწინება ჟულიეტასი). ეს პიესა მეტად ცოცხალის ენით და ლამაზად არის დაწერილი და კარგი გავლენაც უნდა იქონიოს მაყურებლებზე სცენაზე წარმოდგენის დროს.

აი შინაარსი პიესისა:

ჟულიეტა უმთავრესი როლია პიესისა—ახალგაზდა და ლამაზი ქალია, 22 წლისა, და საშინლად უყვარს თავისი ქმარი. თითონ პატიოსანია, გულუბრყვილო და ქმარიც ასეთივე ჰგონია. მისი ქმარი, როჟე დ'ეპინე, ჭკვიანი, გონიანი ყმაწვილი კაცია და მეტად არის გარეცხილი საზოგადოების თავ დაუჭერლობით. მან შეირთო ჟულიეტა, რომ დაეხსნა თავისი საყვარელი, თავადის მეუღლე დე-შაგრი, რომელზედაც ქმარმა ეჭვი აიღო. ცოლის შერთვის შემდეგაც როჟე თავს არ ანებებს საყვარელს და მიჰყავს-მოჰყავს თავისს სახლში, ცოლთან, რომელიც ვერაფერსა ჰგრძნობს და ვერაფერსა ჰხედავს.

ახალგაზდათ სტუმრები ჰყავსთ სოფლის დარბაზში. ამათში არიან თავადი დე შაგრი და იმისი მეუღლე, ახალგაზდა ქალი პიერ დე-როდე, რომელსაც გაგიჟებით ჰყვარებია ჟულიეტა გასათხოვრობისას და ეხლაც იმისი ერთგული მეგობარია, სარტინიი—ორმოცის წლის მოქეიფე, დარდიმანდი კაცი, რომელიც იმ აზრისაა, რომ სიყვარული იგივე ომია და ზნეობას-კი ომთან ხელი არ უნდა ჰქონდესო.

თავადის ცოლი ცალკე ჩაიხვლებს ჟულიეტას და ეკითხება, ბედნიერი ხარ თუ არა შენს ქმართანაო. ეს დედაკაცი იჭვიანობს, ჟულიეტას სიყმაწვილე, სიახალგაზდავე ჰშურს. იცის, რომ როჟე დღეს იქნება თუ ხვალ ამ წმინდა, უზადო და უმანკო სიყვარულს ვერ გაუძლებს და მოეწონება თავისი ცოლიო. ჟულიეტა არაფერს უმალავს: მართალია, როჟე თავ-შეკავებით მეპყრობა, მაგრამ აგერ 18 თთვეა ერთად ვსცხოვრებთ და გათხოვება ჯერ არც-კი მინანიაო. ჩემი ქმარი უოკველთვის კეთილია ჩემთან, ალერსიანი, თუმცა ხანდახან დამცინის ხოლმეო, ამბობს ყმაწვილი ქალი.

იმავე საღამოს ჟულიეტას ხელ-მოუწერელი, უსახელო წერილი მოსდის. წერილში ნათქვამია: «ერთი თქვენი მეგობარი და ჭეშმარიტი მეგობარი ვეღარ იტანს, რომ არ გაგიმხილოთ ის არა-საკადრისი ამბავი, რომელშიაც გაბმული ხართ და უსირცხვილოდ გატყუებენ. აგერ უკვე სამი წელიწადია, რაც თქვენი ქმარი ყველას მიერ აღიარებული საყვარელია ერთის თქვენის მეგობრის ქალისა. მარტო თავადმა და თქვენ არ იცით ეს ამბავი». აღელვებული ყმაწვილი ქალი ეკითხება დე-როდეს: რას ჰნიშნავს ეს წერილი, მართალია თუ არა, თქვენი მოწერილი ხომ არ არისო? დე-როდეც გაოცებულია და სცდილობს დაამშვიდოს ჟულიეტა და ეჭვი გაუქარვოს. ბოლოს ყმაწვილი ქალი დე-სარტინიისთან მიდის და ახლა იმას ეკითხება წერილში თქმულის სიმართლე-სიმტყუვნეს. გაიძვერა სარტინიის დიპლომატიურად მიჰყავს ყმაწვილი ქალი ფანჩატურთან, სადაც იმისი ქმარი და ქმრის საყვარელი ერთად არიან. ჟულიეტას ესმის იმათი ბაასი და სასო ეკვეთება. ყმაწვილს ქალს თვალი მხოლოდ ეხლა ეხილება და ჰხედავს, რომ ატყუებდნენ, პირ-მოთნეობდნენ მის წინაშე. ქ-ნს დე-შაგრის სძულს ჟულიეტა, ქმარს თავისი ცოლი „ბავშვად“ მიაჩნია. მიჰხვდება, ვისი დაწერილიც არის წერილი, პირში შეახლის სარტინიის და მიდის. აღელვებულს შემოჰხვდება თავადი, ეკითხება მიზეზს აღშფოთებისას, მაგრამ ჟულიეტა არას უმხელს, აგუგუნებაზე ყოფნას იმიზეზებს და სთხოვს, რომ ჩემ მაგიერ ბოდიში მოიხადეთ სტუმრების წინაშეო.

სტუმრების წასვლის შემდეგ ცოლ-ქმარს ლაპარაკი მოსდით. ჟულიეტა დამშვიდებულია. იგი აცხადებს, რომ ყველაფერი შევიტყე, ყველაფერი ვიციო. დ'ეპინე თავს არ იმართლებს და იეზუიტურის ხერხებით სცდილობს აუხსნას ცოლს თავისი მდგომარეობა: დავიხსენი პატიოსანი ქალი, მე ვიყავი იმის ოჯახის არევ-დარევის მიზეზი და მევე უნდა მეშველნა რამე, თუმცა აშკარად ვხედავდი, რომ შენა გღუპავდიო. ჟულიეტა საშინლად ღელდება და ეკითხე-

ბა: „მაშ მე არც გებრალებოდით, არც გეცოდებოდით... და შემდეგ... შემდეგ ჩვენის ქორწილისა, როცა ახლოდ გამიცანით, არას დროს შეგბრალებივართ, სინიდისს არ დაუტანჯნიხართო?“ დ'ეპინე უპასუხებს, რომ სინიდისსაც რომ დავეტანჯნე, იმისი თქმა ეხლა დრო არ არისო; ხოლო რა პირობასაც-კი დამიდებ ჩემდა სასჯელად, თანახმა ვიქმნებიო“.

ჟულიეტა ცდილობს გაამართლოს და ამბობს, რომ მართალია, მატყუებდა, სცრუობდა, მაგრამ ეხლა დიდის პატივის-ცემით მექცევა და არცა ჰმალავს თავისს დანაშაულსაო. ამითი უნდა ისარგებლოს ქმარმა და ცდილობს დაშოშმინებულს ცოლს გული მოუგოს და მოულბოს როგორმე, მაგრამ ჟულიეტა არა ჰნებდება, მათ შორის ყველაფერი გათავებულია. ქალი განქორწინებასა თხოულობს. მიზეზი? მიზეზი სხვა ვიპოვნოთ რამე, თქვენს საიდუმლოს მე არ გავამხელო. როცა თანახმაა და გადის თავისას. აქამდე გულგრილი ჟულიეტა, მარტო რომ რჩება, ვეღარ იტანს და გრძნობა-მიხდილი ეცემა.

ამას შემდეგ განქორწინების ამბავია, როცა ყალბს წერილებსა სწერს ვიღაც მოცეკვავე ქალს და ეს წერილები ცოლმა საბუთად უნდა გამოიყენოს. დე-როდე უარს ეუბნება ჟულიეტას ვექილობაზედ. ემაწვილი კაცი ქალს ურჩევს, რომ ვიდრე თქვენი საქმე გათავდებოდეს სასამართლოში, სხვაგან გადასახლდით სადმეო. ქალი უარს არის: მე ჩემს ოთახებში ვარ, მარტო, ქმარს ჩემთან ხელი არა აქვსო.

დ'ეპინემ ეს ამბავი უნდა შეატყობინოს კლოტილდას (თავადის ცოლს). კლოტილდა სასოწარკვეთილებაშია, ამბობს, რომ შეუძლებელია მათი განქორწინებაო! რაც უნდა ოსტატურად მოახერხოთ, პარიჟს ვერ მოატყუებთ, ყველას ეცოდინება ნამდვილი მიზეზიო; ქმარიც გამიგებს და მაშინ ხომ დაღუპული ვარო. უნდა ვეცადოთ, ჟულიეტა დავითანხმოთ, რომ განქორწინებას თავი დაანებოსო. საშუალებაც არის და ეს საშუალება ისაა, რომ თავი დაანებო როჟესაო. მაგრამ კლოტილდას არ უნდა განშორდეს თავისს საყვარელს. იგი უსაყვედურებს როჟეს: არ გიყვარვარ, ჟულიეტა მოგწონს, მზადა ხარ ზედ გადაგდო, მე დამტოვო, თავი დამანებოვო! ემუქრება კიდეც, რომ ქმარს გავუმხელო... ცოტ-ცოტა გონებაზედ მოდის და რიგდებიან. ჟულიეტა დე-როდეს სთხოვს, დააჩქარე განქორწინების საქმე და ნაზად იმედს აძლევს, იქნება შენ დაგეუფლოო, შენი ცოლი შევიქმნეო...

მაგრამ დე-როდეს ვერ მოატყუებს, იმან უფრო კარგად იცის ქალის გული, ვიდრე თვით ჟულიეტამ, იმან იცის, რომ ჟულიეტას უყვარს თავისი ქმარი და სიამოვნებით ელის იმ წუთს, როცა მოურიგდება. ამ მორიგებას იგივე დე-როდე ახერხებს, მიდის და ატყობინებს ერთმანეთით უკმაყოფილო ცოლ-ქმართ, რომ თქვენ უკვე განქორწინებულნი ხართ სასამართლოს მიერო. როცა რაკი ჰხედავს, ჟულიეტას საუკუნოდ უნდა გამოეთხოვოო, გულში ჩამარხულს გრძნობას ვეღარა ჰფარავს. ეხლა, რაკი უკვე უცხონი არიან ერთმანეთისათვის და ყველაფერი გათავებულია, როცა უცხადებს ქალს, რომ დიდი ხანია მიყვარხარ, ერთი და ერთი შეჩვეული კლოტილდასთან თავს ვეღარ ვანებებდი, თუმცა მეც მინდოდა მოვშორებოდი როგორმეო. აი თუმცა ეხლა იგი თავისუფალია (თავადი დე-მაგრი ვედება), მაგრამ ჰნახავ, რომ ახლო არ მივეკარებიო.

რაღა თქმა უნდა, ასეთი ლაპარაკი გულს უჩუყებს ჟულიეტას, მაგრამ რაღა დროსაო, ჰფიქრობს: ყველაფერი გათავებულია, ჩაღა გასწყდა ჩვენ შორისაო. იმ დროს, როცა ცოლ-ქმარნი ეხვევიან, ეთხოვებიან ერთმანეთს, შემოდის დე-როდე და აცხადებს, რომ განქორწინებულნი არა ხართ, მე მოგატყუეთო. შერიგებული ცოლ-ქმარი გახარებულნი არიან.

# დეპეშა

27 იანვარი

**რომი.** კარდინალი ლედოხოვსკი გადაიცვალა.

**ვენა.** გაზეთ „Nemzety“-ში, გამოცხადებული წერილი განსვენებულის მემკვიდრე რუდოლფისა, გრაფ სეგენთან მიწერილი, აქაურს საპოლიტიკო წრეებში არა სჯერათ.

ამბობენ, რომ ერც-ჰერცოგინა სტეფანიას განუზრახავს გადასახლდეს საცხოვრებლად პრაგაში, საცა ჯვარისწერის შემდეგ მან გაატარა უბედნიერესნი დღენი თავის სიცოცხლისა.

ოთახი მეიერლინგენის სასახლეში, საცა გადაიცვალა ერც-ჰერცოგი რუდოლფი, გადაკეთებულ იქმნა სალოცავ ნიშად.

პოლკოვნიკი როჟნოვი, კამანდირი ქვეითის სეფსკის პოლკისა, რომლის შეფად იყო განსვენებული მემკვიდრე პრინცი რუდოლფი, მილებულ იქმნა იმპერატორ ფრანც-იოსებისაგან და მხედართ მთავარ ერცჰერცოგ ალბრეხტისაგან, თანა დაესწრო სასახლის ეკკლესიაში პანაშვიდზე და გვირგვინით შეამკო საფლავი.

**პარიჟი.** საფრანგეთის ბანკმა სარგებელი დასწია $3^1/_2$-დამ 3-ზედ.

პეტერბურგის ბირჟა, 24 იანვარი.

| | მყიდველ. ფას. | გამყიდველ. ფას. | ბოლოს. ფას. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 56 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | $151^1/_4$ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 13 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 266 |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | $249^1/_4$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — „ | — „ | — „ |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპთ (1889) წელიწადად. ქვეყნის შექმნიდამ 7397.
ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპა=481 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი მე=45 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1889 წლის ზედ-ნადებია—6.
იანვარი 31 დღით არის.

28 დღე შაბათი. წმ. მამისა ეფრემ ასურისა. კათოლ. ეპ. კირილესი. სომეხ. წმ. გრიგოლ ღვთის-მეტყველისა. მაჰმად. მე-9 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ახირისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—14. ტფილისში მზე ამოდის 7—4, ჩადის 5—25. მთვარე 10 დღისაა.

29 დღე კვირა. აღმოყვანება ნაწილთა წმ. მღვდელ-მოწამის ეგნატე ღმერთ-შემოსილისა. კათოლ. ფრანცისკასი. სომეხ. ალების-ღამე არაჯავარაცის მარხვისა. მაჰმად. მე-10 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ახირისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—14. ტფილისში მზე ამოდის 7—3, ჩადის 5—26. მთვარე 11 დღისაა.

30 დღე ორშაბათი. სამთა წმიდათა ვასილი დიდისა, გრიგოლ ღვთის-მეტყველისა და იოანე ოქროპირისა. კათოლ. ქალწ. მარტინასი. სომეხ. დაწყება არაჯავარაცის მარხვისა. მაჰმად. მე-11 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ახირისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—14. ტფილისში მზე ამოდის 7—3, ჩადის 5—27. მთვარე 12 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

16 იანვრიდამ 1 თებერვლამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. | $3^1/_2$ | » |
| „ 2 „ | 3 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2— | 4 | „ |
| „ „ 3 „ | $3^1/_2$ | „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | „ |
| მე-3 — . . . | | „ |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 9 | „ |
| „ 2 „ | 8 | „ |
| სუკი . . . . | 16 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 10 | „ |
| ღორის ხორცი . . . | 9 | „ |
| „ 2 „ | 8 | „ |

# განცხადებანი


საზოგადო წასასმელი
ლითონთა საწმენდავად
საუკეთესო ღონისძიებაა
!მთელის ქვეყნის მირ-ზედ!

უმთავრესი დეპო იმყოფება სამხრეთ რუსეთისათვის ძმათა პეტრო კოკონოვებთან ოდესას.




ისყიდება ყველგან.

მყიდველებსა ვსთხოვთ, რომ ყურადღება მიაქციონ ჩვენს ფირმასა და საფაბრიკო მარკას.

(26—6)



წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდეე მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძესაგან . . . . . . | „ | 40 |
| საქართველოს კალენდარი, გუნიასი . . . . . . . | „ | 45 |
| კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯაჯანაშვილისა . | „ | 40 |
| ანბანი კანვაზე საკერი, გ. ტატიშვილისა . . . . . | „ | 20 |
| დავით ასლანიშვილი-ჯანდიერი, ა. ფურცელაძისა . . . | „ | 10 |
| დარიგება, თუ როგორ უნდა მოუარონ დედებმა ძუძუ-მწოვარ ყმაწვილსა, გადმოკეთებული ივ. კაციტაძის მიერ . | „ | 5 |
| სურათები გლეხ-კაცის ცხოვრებიდამ ეკ. გაბაშვილისა . . | „ | 10 |
| სამი კომედია, ა. ცაგარლისა . | „ | 60 |
| თამარ-ცბიერი, ისტორიული ოთხ-მოქმედებიანი დრამატიული პოემა . . . . . | „ | 50 |
| ბუნების კარი, შედგენილი ი. გოგებაშვილისა . . . . . | „ | 75 |
| დედა-ენა, მისივე, . . . . . | „ | 30 |
| თამარიანი, გალექსილი გუგუნავასი . . . . . . . . | „ | 50 |
| დედაკაცის ხვედრი ნამბობი გლეხ-კაცის ქალისა, თარგმანი ი. რამიშვილის მიერ . | „ | 15 |
| გენათის მონასტერი, გამოც. ღამბაშიძისა . . . . . | „ | 25 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. . . . . | „ | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ. . . . | „ | 30 |
| მცხეთის ტაძარი, გამოც. ღამბაშიძისა . . . . . . . | „ | 25 |
| ოტელო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ . . . | „ | 50 |
| მეფე სოლომონ ბრძენი, გამოცემა ღამბაშიძისა . . . | „ | 5 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა . . . . . . | „ | 50 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . | 3 | „ |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) . . . . . | „ | 35 |
| ვაზის ობი . . . . . . | „ | 10 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი . . . . | „ | 30 |
| ლოცვანი, ღამბაშიძისა . . | „ | 30 |



საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფ ა ს ი:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12 თთვით . . . 10 მ.—კ. | | | 6 თთვით . . . 6 მ.—კ. | |
| 11 „ . . . 9 „ 50 „ | | | 5 › . . . . . 5 „ 25 „ | |
| 10 „ . . . 8 „ 75 „ | | | 4 › . . . . . 4 „ 75 „ | |
| 9 „ . . . 8 „ — „ | | | 3 › . . . . . 3 „ 50 „ | |
| 8 „ . . . 7 „ 25 „ | | | 2 › . . . . . 2 „ 75 „ | |
| 7 „ . . . 6 „ 50 „ | | | 1 › . . . . . 1 „ 50 „ | |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოზით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ფრეილინის ქუჩა, სახლი ბასტამოვისა, № 5.



რუსეთში შემოტანა და გასყიდვა ნება-დართულია სამკურნალო დეპარტამენტის მიერ.




არყის ხის ბალზამი დ—რის ლენგილიასი,

სატუალეტოდ სახმარებელი ქალთათვის.

ჰხმარობენ სახისა და ხელის კანის სითეთრისათვის. რადგანაც ყალბა ამ გვარის ბალზამის კეთება ხშირია, ამიტომ ყურადღება მიაქციეთ აქვე დაბეჭდილს მარკას ფაბრიკისას.

მომზადების წესი და რიგი:

ამ ბალზამის კეთების დროს უმთავრესი ყურადღება იმაზეა მიქცეული, რომ შიგ არ გაურიონ კანზედ ცუდად მომქმედი რაიმე ნივთიერებანი, პირ-იქით, ისეთები იხმარონ, რომელნიც სახისა და ხელების კანზედ კარგა ჰმოქმედებს და მარგებელია.

ფასი: შუშა ჰღირს 1 მან. 65 კაპ.; ბენზოხ საპონი ჰღირს 35 და 50 კაპ. თითო ნაჭერი; ოპო-პომადი (კოლდ-კრემზედ უკეთესია) 1 მან.

გაგზავნა და შეხვევა ევროპის რუსეთში ჰღირს 70 კაპ., აზიის რუსეთს—1 მან.

უმთავრესი საწყობი მთელის რუსეთისათვის იმყოფება გ. ფერიხთან ს.-პეტერბურგს, კოლოკოლნის ქუჩაზედ, 18—19.

ისყიდება რუსეთის ყველა აფთიაქებსა და სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიებში.

ტფილისს: სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობაში, ვ. გრივნაკთან, გ. ა. პოპოვთან, მ. მარტირუზოვთანა და ა. პოპოვთან. (31—6)


Доз. ценз. Тифлисъ 27-го Января 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинской ул. пом. Т. Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე